

კორტიზოლი

კორტიზოლი სტეროიდული ჰორმონია, რომელიც წარმოიქმნება და გამოიყოფა თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვანი შრის მიერ. კორტიზოლს მრავალი ფუნქცია აქვს. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების მეტაბოლიზმში, გავლენას ახდენს სისხლში გლუკოზის რაოდენობაზე, მონაწილეობს არტერიული წნევის ნორმალური დონის შენარჩუნებაში და არეგულირებს იმუნურ სისტემას. აგრეთვე, კორტიზოლი ორგანიზმს სტრესთან გამკლავებაში ეხმარება.

კორტიზოლის წარმოქმნა რეგულირდება ჰიპოთალამუსისა და ჰიპოფიზის მიერ. როდესაც სისხლში კორტიზოლის დონე იკლებს, ჰიპოთალამუსიდან გამოიყოფა კორტიკოტროპინ-რილიზინგ ჰორმონი რომელიც ასტიმულირებს ჰიპოფიზიდან აკტჰ-ს (ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი) გამოყოფას. აკტჰ თირკმელზედა ჯირკვლების მიერ კორტიზოლის წარმოქმნას ასტიმულირებს.

რატომ კეთდება კორტიზოლის ტესტი?

კორტიზოლის ტესტი ინიშნება მაშინ, როდესაც პაციენტს ამ ჰორმონის ჭარბი ან არასაკმარისი პროდუქციის ნიშნები აქვს. კორტიზოლის მომატებული დონის და კუმინგის სინდრომის ნიშნებია:

- მაღალი არტერიული წნევა
- სისხლში გლუკოზის მომატება
- სიმსუქნის დამახასიათებელი ტიპი - მთვარისებური სახე და ცხიმის დაგროვება ტანზე
- კანის ატროფია
- მუცლის კანზე მოწითალო-მოვარდისფრო ზოლები - სტრიები
- კუნთების ატროფია
- საერთო სისუსტე
- ოსტეოპოროზი
- ქალებს ერღვევათ მენსტრუალური ციკლი და სახეზე მამაკაცის მსგავსად ეზრდებათ თმა
- ბავშვებს აღენიშნებათ ზრდისა და განვითარების შეფერხება

კორტიზოლის დაბალი დონის ნიშნებია:

- წონაში დაკლება

- დაბალი არტერიული წნევა
- ტკივილი მუცლის არეში
- კუნთოვანი სისუსტე
- საერთო სისუსტე
- კანის გამუქება (ახასიათებს ადისონის დაავადებას)

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?

ჩვეულებრივ, ორჯერ იღებენ სისხლს ვენიდან: ერთხელ - დილით (დაახლოებით დილის 8 სთ-ზე) და მეორედ - საღამოს (დაახ. საღამოს 4 სთ-ზე). ზოგჯერ კორტიზოლის დონეს 24 საათიან შარდშიც საზღვრავენ. ასევე, კეთდება ნერწყვის ანალიზი. ამ შემთხვევაში, ნიმუშის აღება საჭიროა საღამოს 11-დან 12 საათამდე.

კორტიზოლის ტესტამდე ერთი დღით ადრე, პაციენტმა თავი უნდა აარიდოს ფიზიკურ დატვირთვას. აგრეთვე, საჭიროა შეწყდეს იმ მედიკამენტების მიღება, რომელთაც შეუძლიათ ანალიზის პასუხის შეცვლა (მაგ. ესტროგენები, ანდროგენები, პრედნიზოლონი, ფენიტოინი, ორალური კონტრაცეპტივები, ჰიდროკორტიზონი და ა.შ). ანალიზის აღებამდე, დაახლოებით 30 წუთით უნდა შეიზღუდოს ყოველგვარი ფიზიკური აქტივობა და პაციენტმა უნდა დაისვენოს. ნერწყვის ანალიზის აღების წინ, 15-30 წუთით ადრე, უნდა გამოირიცხოს პაციენტის მიერ საკვებისა და სასმელის მიღება.

რას ნიშნავს მომატებული კორტიზოლი?

კორტიზოლი მატულობს შემდეგი დაავადებების დროს:

- თირკმელზედა ჯირკვლის სიმსივნე
- კუშინგის დაავადება
- აკტ3-ს ექტოპიური პროდუქცია სიმსივნეების მიერ
- დეპრესია
- თირკმლების ან ღვიძლის დაავადება
- ჰიპერთირეოიდიზმი
- სიმსუქნე

კორტიზოლის მომატება შეიძლება გამოიწვიოს ასევე ორსულობამ, ტრავმამ, სეფსისმა ან ქირურგიულმა ოპერაციამ.

კორტიზოლი კლებულობს შემდეგი დაავადებების დროს:

- ჰიპოპიტუიტარიზმი
- ადისონის დაავადება
- თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის თანდაყოლილ ჰიპერპლაზია
- ჰიპოთირეოიდიზმი

კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?

სხვა დასახელება არ გააჩნია.

საჭირო ინფორმაცია

ჩვეულებრივ, კორტიზოლის დონე იმატებს დილის საათებში და იკლებს საღამოს, მაგრამ თუ ადამიანი ღამით ფხიზლობს (მაგ. ღამის მორიგეობის გამო) და დღის განმავლობაში სხვადასხვა დროს იძინებს, მაშინ კორტიზოლის წარმოქმნის ეს განრიგი შეიძლება შეიცვალოს. კორტიზოლის დონეზე მრავალ ფაქტორს შეუძლია იქონიოს გავლენა, მათ შორის ფიზიკურ და ემოციურ სტრესს, ინფექციას, ტრავმას, სიმსუქნეს, ქრონიკულ დაავადებებს და სხვადასხვა მედიკამენტს.